დღეს ბოლო ზარია

როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანის საჯარო სკოლის XII კლასელებისათვის გაისმა ბოლო ზარი.

1.1 --- სკოლის დირექტორის მ/შ, როგორც უფლებამოსილმა პირმა, ბატონმა რომანი კვაშილავამ გზა დაულოცა, უკვე მერამდენე 2023-2024 სასწ. წ. გამოშვების კურსდამთავრებულებს. მოუწოდა: იყვნენ კულტურულნი, გაუფრთხილდნენ ადამიანურ ღირებულებს. სწორად აირჩიონ პროფესია, დაგეგმონ მომავალი, პატიოსნად ემსახურონ ოჯახს და ხალხს, რათა გამოადგნენ ქვეყანას.

1.2 --- მასწავლებლები ყოველთვის ცდილობენ საფუძვლიანად გაანოყიერონ ნიადაგი, რათა ნოყიერ მიწაში თესლი უპრობლემოდ აღმოცენდეს და ნერგი უხვმოსავლიანი გამოდგეს.

1.3 --- იყავით პასუხისმგებლიანნი იმ ყოველი ნაბიჯის, რასაც დღეის იქით გადადგამთ ოჯახის, ხალხის და სამშობლოს სასიკეთოდ!

1.4 --- ვისურვებდი, არასდროს დაუშვათ საკუთარი მოკლე ამბიციების მსხვერპლი გახდეს სამი უძვირფასესი ჩვენი მცნება: „ მამული, ენა, სარწმუნოება!“

1.5 --- ყველამ აიღეთ პასუხისმგებლობა საკუთარ ქცევაზე, სიტყვაზე, ინტერესებზე, პოზიციაზე და იმედზე!

1.6 --- იმედია, ეს სურვილები და მოწოდებები არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!“

მოსწავლეები: --- ამ გადმოსახედიდან ვხვდებით, რომ ჩვენ თითქმის არაფერი გვესმოდა, ან საერთოდ არ ვიცოდით რა ენერგია და შრომა გაქვთ გაღებული იმისთვის, რაც ვართ და რასაც მომავალში მივაღწევთ. მადლობის მეტი რა გვეთქმის ძვირფასო პედაგოგებო!

გისურვებთ მხნეობას მრავალ სასწავლო წელს!

მადლობა თქვენ!

როგორც წესი, ყველა აღმზრდელ-პედაგოგმა დაულოცა გზა ცხოვრების ახალი ასპარეზისაკენ მიმავალთ. უსურვეს ევლოთ სიკეთით და ამ სიკეთის რეალიზების გზით!

„ გიყვარდეთ სამშობლო, სიმართლე გიყვარდეთ,

გიყვარდეთ, გიყვარდეთ წიგნი,

რაც უნდა ისურვოთ, რაც უნდა ინატროთ

ესაა ყველაზე დიდი!“

პირველ მასწავლებელთან, იმ ოთახში, სადაც ეზიარნენ ანი-ბანის, გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

უფროსკლასელებმა სიხარულით და თვალცრემლიანებმა დაულოცეს გზა ცხოვრების ახალი ასპარეზისკენ.

სკოლის ბოლო, მაგრამ დამოუკიდებელი ცხოვრების პირველი გაბმული ზარი იყოს ცხოვრებისეული ყოველგვარი დაბრკოლების დაძლევის საწინდარი!

„სკოლა, ერთი შეხედვით, ადგილია, სადაც განათლება უნდა მივიღოთ, მეორე მხრივ კი, ეს საშუალებაა ურთიერთობების შესასწავლად!“

ზომიერი, სწორი, ხარისხიანი ურთიერთობა საწინდარია ნორმალური ცხოვრების.

გახსოვდეთ, უბრალოება და კლდემამოსილება ამკობს ადამიანს!

ყველა ვიღიმით, ცრემლნარევი ღიმილია, თუმცა უდავოდ – ბედნიერების, ვინაიდან ჩვენ აქ ვი გრძენით დედა, ჩვენ აღარ გვეშინია და ჩვენ გვაქვს მომავალი. ჩვენს დროში სკოლას იმ ასაკში ვამთავრებთ, როცა რაღაც დოზით ვართ დამოუკიდებელნი და არ გვეშინია სტუდენტური ცხოვრების.

„ბოლო ზარის“ ზეიმზე ნათქვამი მოწაფის სიტყვა უტყუარი ფაქტია, რომ ბავშვები მასწავლებლებში მშობლებს ეძებენ!

მერე რა, რომ ზოგჯერ საზრდოდ გვრჩება მხოლოდ ჩვენივე შემოქმედება და მთელი ცხოვრების სამყოფი იების სურნელი. ეს იყოს წარმატების სურნელია.

„ციდან ისმის ანგელოზთა სიმღერა და გალობა,

დროა, დროა ღმერთს შევთხოვოთ არ მოგვაკლოს წყალობა,

გზა დაგვილოცე, გზა დაგვილოცე

ვევედრებით ყველა წმინდა სალოცავს!“

სკოლის საქმისმწარმოებელი --- --- --- --- --- რიმა გაწერელია